



# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10 — 11.  
 მკოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიხარულს. ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15 — 4.  
 მოვედით ჩემდა ყოველნი მამუშრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განვისვენეთ თქვენ. მათ. 11 28.

№ 6

1883—1899


31 მარტი

იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების კრება 16, 17 და 18 მარტს.



იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების მორიგი კრება დანიშნული იყო მარტის 16, 17 და 18 რიცხვებში. ეს მორიგი კრება უნდა მომხდარიყო წარსულს წელში, მაგრამ ცუდი ამიდეებისა და ბოლოს მღვდელთ-მთაერის ავადმყოფობისა გამო არ მოხდა. 16 მარტს დეპუტატების საკმაო რიცხვი გამოცხადდა. სანამ კრების თავსმჯდომარის აღრჩევას შეუდგებოდნენ, მამა დეკანოზმა იოსებ ჭეიშვილმა აღძრა კითხვა იმაზე, რომ კრებას არავითარი საქმე არა აქვს განსასჯელად, რადგან

ქუთაისის ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ამ წლის ხარჯთა აღრიცხვა უკვე დამტკიცებული არისო; ამიტომ ჩემის აზრით, ბრძანა მ. დეკანოზმა ჭეიშვილმა, საჭიროა, რომ სიგელი შევადგინოთ და მოვიხსენიოთ შიგ, რომ კრებას განსახილველი და განსასჯელი არასფერი აქვს, ხელი მოვაწეროთ სიგელზე და წავიდეთ ჩვენთვისო. დეკ. ჭეიშვილის აზრს დაეთანხმნენ დეპუტატები მ. მ. სიმონ მჭედლიძე, ტიმოთე კაპანაძე, მამა ნიშნიანიძე, ი. ახვლედიანი და ორიოდ სხვანი. მაგრამ ამ წინადადების წინააღმდეგნი იყვნენ დეკ. დ. ლამაზიძე და დეპუტატების უმეტესობა. დეპუტატმა მამა დათუნაიშვილმა განაცხადა: „ტყუილა სიარული დეპუტატებისა, რასაკვირველია, სამწუხაროა, მაგრამ იმისი თქმაც არ შეიძლება, ვითომც ჩვენ კრებაზედ სალაპარაკო არა გვქონდეს რა. აგერ შეკრებალი ვართ და იმის თქმაროგორ შეიძლება, რომ ჩვენ კრებაზე სალაპარაკო არა გვაქვს რა და შინ დავბრუნდეთო“. ეს გარემო-





ება მოხსენდა ყოვლად სამღვდელოს, რომელმანც განუმარტა კრებას ყოველივე და ამის შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ თავმჯდომარის არჩევას.

თავმჯდომარედ ერთ ხად იქმნა არჩევული მღვდელი მამა იუსტინე ტაბიძე, რომელიც სამღვდლოების მიერ არა ერთ გზის იყო ხოლმე აღრჩეული წინა კრებების დროს საქმის მწარმოებლად და ამ უკანასკნელ თანამდებობაზე-მღვდელი გიორგი ანთაძე. თავმჯდომარის აღრჩევის შემდეგ კრებამ აღუხსა ის კითხვები, რომლებზედაც უნდა ქონებოდა მსჯელობა. აი ეს კითხვები: 1] განხილვა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მიმდინარე წლის ხარჯთა-აღრიცხვისა და დამტკიცება ამავე სასწავლებლის წარსული წლის ხარჯთა ანგარიშისა; 2] განხილვა ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებლისა ამა წლის ხარჯთა აღრიცხვისა და დამტკიცება ამავე სასწავლებლის წარსული წლის ხარჯთა ანგარიშისა; 3] წინადადება ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურის მღვდლის მელიტონ კელენჯერიძისა სამრევლო სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ, 4) აღრჩევა სამღვდელოების მხრით ორი წევრისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამმართველოსა და ერთი წევრისა იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებლის საბჭოსა გარდაცვალებული მღვდლის ი. ჭირაქაძის მაგიერ, 5) წინადადება იმერეთის საეკლესიო სანთლის ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარის დეკ. დ. ლამბაშიძისა სანთლის ქარხნის საქმის გაუმჯობესობის შესახებ. მისივე წინადადება საეკლესიო ნივთების საწყობის შესახებ; 6) დეკ. დ. ლამბაშიძის განცხადება შესახებ სრული თვეის დაბეჭდვისა; 7) დეკ. დავით ლამბაშიძისავე წინადადება სანთლის ქარხნის 2750 მანეთის ხარჯის მოსპობის შესახებ საეკლესიო ხაზინის ნაკლის დასაფარავად და ეპარქიალური კანცელარიის მოსამსახურეთა ჯამაგირის დასამატებლად; 8) თხოვნები წერის ლ მოსამზადებელი კლასების მასალებელთა, რომელთაგან პირველი ითხოვდა, რომ 12 გაკვეთილზე მასაც სასწავლებლის სხვა შტატის მასწავლებლებსა-ვით დანიშნოდა 500 მანეთი და თითოეულ მეტ გაკვეთილზე 30 მ., ხოლო უკანასკნელი ითხოვდნენ ჯამაგირის მესამედს (третье).

თავმჯდომარის და საქმის მწარმოებლის აღრჩევის სიგელი და თან გასახილველი კითხვების ნუსხა წარედგინა ყოვლად სამღვდელოს. მათმა

მეუფებამ დამტკიცა თავმჯდომარე, საქმის მწარმოებელი და ხსენებული კითხვები და ნება დართო სხდომის გახსნისა. 16 რიცხვს სანთლის ქარხნის გამგე კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა კრებაზე, რომ დეპუტატებს დაენიშნა კომიტეტი, რომელსაც დაეთვალისწინებია სანთლის ქარხნის მდგომარეობა და ანგარიშები შეემოწმებია წიგნებთან და აგრეთვე დაეთვალისწინებია სანთლის ქარხნის შენობა და მოეხსენებია კრებისათვის ის საჭიროებანი, რომელნიც გამგე კომიტეტს მიაჩნია გასაკეთებლად. ამ დღეს სამღვდელოების კრება ამით გათავდა.

17 მარტს ცარა საათზე გაიხსნა სხდომა. თავმჯდომარემ პირველად მისცა კრებას განსახილველად ქუთაისის სასულიერო ოთხ-კლასიანი სასწავლებლის ხარჯთა-აღრიცხვა (смета) ამა 1899 წლისათვის. ამ სმეტიდან აღმოჩნდა, რომ სასწავლებელს ამ წელში მოუთხოვნია ხარჯი 14010 მანეთი, ცოტა ნაკლები, ვინემ წარსულს წელში. იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებისაგან წინეთ ხსენებული სასწავლებლის შესანახავად შემოდიოდა ცამეტი ათას ორას მანეთზე ცოტა მეტი და რადგან ეს ფული არ ფარავდა სასწავლებლის ყველა ხარჯს, ამისათვის სამღვდელოებამ გარდასწყვიტა, რომ დასაწყისი მოსამზადებელი კლასი თავისი პარალელური განყოფილებით იმათ შეენახათ, ვინც ბავშვებს მისცემდა ამ კლასში და, მართლაც, ყველას ხდებოდა სწავლის უფლებისათვის ამ კლასში სამღვდელოთაგანს ერთი თუმანი და საეროს ოთხი თუმანი. მაგრამ რადგან 1896 წლიდან იმერეთის ეპარქიას შემოუერთდა ლეჩხუმის მაზრის სამღვდელოება, რომელმაც მონაწილეობა მიიღო სასწავლებლის შესანახავ ხარჯში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებასთან ერთად, ამიტომ შემოსავალმა მოიმატა თითქმის ათას ხუთას მანეთამდე. რადგან შემოსავალმა იმატა, სამღვდელოებამ სწავლის უფლებისათვის გარდასახადი მოსპო სამღვდლოთა შეილებზე დასაწყის კლასში და ამ ათას ხუთას მანეთიდან ორ მასწავლებელს დაენიშნა 1200 მანეთამდე ჯამაგირათ, ამ 1899 წლის ხარჯთა აღრიცხვიდამ სჩანდა, რომ ახალი ხარჯი არ ითხოვებოდა სამღვდელოებისაგან, ამიტომ კრებამ ხარჯთა-აღრიცხვა მიიღო და მასთან სთხოვა ყოვლად სამღვდელოს მოახდინოს განკარგულება, რომ ამიერიდგან სასწავლებლის სამმართველომ მომავალი წლის ხარჯთა-აღრიცხვა და წარსული წლის ეკონომიური ანგარიში მზად იქონიოს თავის დროზე





სამღვდელოების კრებისათვის წარსადგენად. ამასთან კრებამ სთხოვა ყოველად სამღვდელოს, რომ ფული ნუ იქნება გარდახდილი კერძო სტამბებში სასწავლებლის ანგარიშის ბეჭედისათვის, არამედ ეს ანგარიშები იბეჭდებოდეს უფასოთ „საქართველოს საექსარხოსოის მახარებელში“. სმეტის განხილვის შემდეგ კრებას მოხსენდა ოთხკლასიანი სასწავლებლის სამმართველოს წინადადება შესახებ ორი წევრის აღრჩევისა სამღვდელოების მხრით სამართველოში. კრებამ ამ თანამდებობაზე შემდეგი სამი წლისათვისაც ისევ სამართველოს უწინდელი წევრები მღვდელნი ბასილ დოლაბერიძე და მამა ჩხიკვაძე აღირჩია წევრებად და მათ კანდიდატებად მღვდელი მიხელიძე და ბლალაოჩინი ლავრენტი დევიძე.

ამის შემდეგ წინადადება მიეცა კრებას, რომ აღერჩიათ ერთი წევრი იმერეთის ეპარქიალური გაბრიელის საქალებო სასწავლებლის საბჭოსათვის და ერთი წევრიც სასულიერო სემინარიის სამართველოსათვის. ეპარქიალური სასწავლებლის საბჭოს წევრების კანდიდატებად დაასახელეს დეკ. ი. ჭეიშვილი და ბლალაოჩინი მღვდელი ივლიანე აბესაძე. მოხდა კენჭის ყრა და ორივე აღნიშნულნი პირნი იქნენ აღრჩეულნი. სემინარიაში მღვდლის ი. ბაკურაძის მაგიერ ერთხმად აღირჩიეს წევრად ბლალაოჩინი მღვდელი ნ. ყუბანიევი.

წევრების აღრჩევის შემდეგ თავსჯდომარემ წაიკითხა წინადადება იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურისა სამრევლო სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. რადგან ამ განცხადებაში დაწვრილებით არ ეწერა, თუ რა ღონე ემზარა სამღვდელოებას სამრევლო სკოლების გასაუმჯობესებლად, თავმჯდომარე მიიქცა მამა კელენჯერიძისადმი და სთხოვა, რომ მისი წინადადება თვითონვე მას განემარტებია კრებისათვის დაწვრილებით. სკოლების მეთვალყურემ, მამა მ. კელენჯერიძემ წარმოასთქვა გრძელი სიტყვა, რომლითაც დაუმტკიცა სამღვდელოების კრებას, რომ ჩვენი სამღვდელოება ძლიერ ჩამორჩენილია რუსეთის სამღვდელოებას, რომელსაც კარგად გამართული აქვს სამრევლო სკოლები და მასწავლებელნი ამ სკოლებში უზრუნველ ყოფილნი არიანო. დაუმტკიცა კრებას საღმრთო წერილით, რომ მღვდელი ვალდებულია ხალხს ასწავლოს. დაუმტკიცა ისიც, რომ არავის ხელის შეშლა არ შეუძლია ამ საქმეში, რადგან

მღვდელი აღტურვილია მაცხოვრის ჯვართა, იმ ჯვართა, რომელსაც ჯოჯოხეთის ბტენიც ვერ ერევიანო... ჩვენთვის, განაგრძო მან, საქიროა სურვილი და საქმის ერთგულად ხელის მოკიდება. თქვენ კარგად იცით, რომ ზოგიერთ საბლალაოჩინოში ბევრია სკოლები ღ ზოგან სრულებით ერთი სკოლაკ არ არის. აი, მაგალითებრ, შორაპნის საბლალაოჩინო მაზრაში თითქმის ცამეტ მრევლშია სკოლა, როდესაც ლეჩხუმისკენ ზოგიერთ საბლალაოჩინოში ერთი სკოლაკ არ არის. \*) რომ საქმეს კაცი გულით მოეკიდოს, დარწმუნებული ვარ, რომ სხვაგანაც თუ იმოდენი სკოლის გახსნა არ შეიძლება, დღევანდელზე მეტი სკოლები მაინც გვექნება“.

„მართალია, განაგრძო მან, დღეს ყველას ის აქვს სათქმელი, რომ შეძლება არა გვაქვს და ამისათვის სკოლები არ იხსნებიანო, მაგრამ საქმეც ის არი, რომ შეძლება არა გვაქვს და უნდა ვეცადოთ, რომ საშუალება გამოვანახოთ. ხაზინა თუ გვაძლევს დღეს თავის შემწეობას, ჩვენც უნდა მივსცეთ შემწეობა და არაფერი უნდა დაფიშუროთ სკოლებისათვის“. შემდეგ მანვე განუმარტა კრებას, თუ რა საშუალებით კრებავენ რუსეთში ფულებს სამრევლო სკოლების დასახმარებლად სხვა-და-სხვა ძმობათა დაარსებით. „მე ვფიქრობ“, განაგრძო მან, „რომ ჩვენშიაც დაარსდებოდეს ამისთანა ძმობა, არ გვეჯერა, რომ ფულები არ შეგროვდეს. თუ სხვაგან კი აარსებენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა სხვა-და-სხვა დამხმარე ძმობათა, რატომ ჩვენშიც არ შეიძლება დაარსება სამრევლო სკოლათა დამხმარე ძმობისა ან საზოგადოებისა? რასაკვირველია, შეიძლება და კიდევ დაავარსოთ. ამ ძმობას ბევრი რამ შეუძლია და დიდ დახმარებას გაუწევს საზოგადოებას. შეიძლება ძმობამ იქონიოს თავისი გამოცემა ეპარქიალური გამოცემის მსგავსი; სახელი ამ გამოცემას უწოდოთ „ეკლესია, სკოლა და ხალხი“, ან რომელსაც საუმჯობესოდ დაინახავს კრება. ამისთანა გამოცემა ჩვენში ძლიერ საქიროა არის. მართალია, დღეს ჩვენში არიან სხვა-და-სხვა გამოცემები, მაგრამ მათ ყველას ერთი დიდი ნაკლი აქვს—არ არის მათში ოფიციალური

\*) ეს, მართალია, ასე იყო და არის, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საბლალაოჩინო მაზრის ბლალაოჩინი ერთ დროს ერთ დაუდევრელ ზირათ მაინდათ სამრევლო სკოლების საქმეში!!!

რედაქტორი.



განყოფილება, და ამასთან არ შეუძლია კაცმა ერთად ბევრი რამ დაბეჭდოს. ერთი მოზღდილი სტატია რომ მისცე დასაბეჭდავად, თითქმის მთელი წელიწადი გაგრძელდება მისი ბეჭდვა და შეიძლება მთელი წლის განმავლობაშიც არ დასრულდეს იგი ამასთან თუ გაზეთს ოფიციალური განყოფილება ექნა, იქ დაიბეჭდება ყველა პირის დაჯილდოება და ეს განყოფილება გამოცემას გახდის ყველასათვის საინტერესო საკითხავად და ხელის მომწერლებს გაამრავლებს და ეს უკანასკნელი დიდ საშუალებას აღმოუჩენს როგორც გამოცემას ისე ძმობას. ამ გამოცემაში დაიბეჭდება სტატიები როგორც ზნეობრივ-სარწმუნოების შინაარსისა ისე ბელეტრისტიული და სხვა ხალხისათვის საინტერესო. თუ ღმერთმა ქმნა და ეს აზრი განხორციელდა, ძმობას იმდენი შესავალი ექნება, რომ დიდ შემწეობას აღმოუჩენს სკოლებს, მოსწავლეთა და მასწავლებლებს. ამ ნაირი საშუალებებით რუსეთში აყვავებულია სამრევლო სკოლების საქმე, მაგრამ ჩვენ კი ყველას ჩამორჩენილი ვართ. თუ კრება მიიღებს ჩვენს მოსაზრებას, მე თვითონ შევადგენ ამ ძმობის წესდებას და წარმოუდგენ კრებას მეორე რიგის სხდომაზე და როგორც ისურვებს კრება, ისე გადაწყვიტოს. დაათვა თუ არა თავისი სიტყვა მამა მ. კელენჯერიძემ, მრავალმა დეპუტატებმა ერთხმად განაცხადეს: „მშვენიერი მოსაზრება არის და ყველანი თანახმა ვართ მივიღოთ თქვენი მოსაზრება, თქვენვე შეადგინეთ ძმობის წესდება და წარმოგვიდგინეთ მეორე კრებაზე განსახილველად“.

დევ. დ. ლაშაშიძემ შესახებ სამრევლო სკოლების მეთვალყურის მამა მელიტონ კელენჯერიძის ზემოთქმულ მოსაზრებათა გამო წარმოსთვა შემდეგი სიტყვა... «ღმერთმან ინებოს, რომ ყველა მოსაზრება სამრევლო სკოლების გაუმჯობესობის შესახებ, წარმოთქმული მამა კელენჯერიძისაგან, აღსრულებულიყოს და ამ სკოლების დამხმარე „საზოგადოებას“ თუ გინდ „ძმობას“ დიდი შესავალი გაჩენოდეს. ეს როგორც ყველასთვის ისე ჩემთვისაც დიდად სასიამოვნო იქნება, მაგრამ არც ის არის კარგი, რომ რაიმე უბრალო მოსაზრებით ბავშვებით გავიტანეთ და აერში კოშკების შენება განვიზრახოთ. კაცი საზოგადოდ ბევრს რამეს ფიქრობს და ბევრს რამეს ოცნებობს, მაგრამ უმეტესად სიტყვა სიტყვად რჩება და საქმით კი არა კეთდება რა. ამას ცხოვრება აშ-

კარად გვიმტკიცებს. მართალია, ჩვენში სამრევლო სკოლების მდგომარეობა, სიღარიბისა გამო, არ არის სანატრელ მდგომარეობაში, მაგრამ ეს მართო სამრევლოების დაუდევნელობას არ მიეწერება. სამრევლო სკოლების საქმეს აქ ბევრი რამ ელოდება წინ და რამდენიც უნდა ისურვოს კაცმა, ხშირად მისი სურვილი სურვილად რჩება და საქმე არ კეთდება. უმთავრესი მიზეზი ამ შემთხვევაში მართლა ის არის, რომ ადგილობრივი ადმინისტრაცია ყოველივე ღონეს ხმარობს, რომ ხელი შეუწყოს „ღირეკტორების“, სკოლებს და სამრევლო სკოლების საქმეს კი თუ მტრულად არა ძლიერ გულგრილად უყურებს. რა ქნას საწყალმა მღვდელმა მიყრუებულ სოფელში, რომელსაც სამრევლოში თავისთვის ბინაც არა აქვს, სად ასწავლოს ბავშვებს? გლეხს ახდევინებენ თითო მანეთს სამინისტრო სკოლის შესანახავად და თუ ეს სკოლა მას ეახლოება, იქ მიჰყავს თავისი შვილი და სამრევლო სკოლისთვის არაფერს აღარ დაეძებენ. ჩემს აზრით ძლიერ საჭიროა, რომ კარგად გამოარკვიოს კრებამ ის მიზეზები, რაც ხელს უშლის ჩვენი სამრევლო სკოლების საქმეს. კარგად გამოარკვიოს ყველა ის მიზეზები, რაც წინ ელოდება სამრევლოებას და სთხოვოს დახმარება მართებლობას, თორემ სხვა-და-სხვა ძმობათა დაარსებით ჩვენ ფულებს ვერ შევაგროვებთ და ამ ფულებით ვერავის გავაკვირებთ. ეხლანდელი დრო სწორედ შესანიშნავი დროა სხვა-და-სხვა ძმობათა და საზოგადოებათა დაარსებით და აბა დააკვირდით, თუ მართლა დიდი რამ გაკეთებულა ამ ძმობათა საშუალებით. მე თვითონ მამა კელენჯერიძეს მოწმით მოვიყვან იმ სიტყვებსა. რაც სიტყვა ბატონმა ვ. ი. შემეიკინმა ერთ ამ გვარ ძმობაზე, რომელიც რუსეთის ერთ შესანიშნავ ეპარქიაში დაარსდა. იქ, სადაც, თითქმის, ყველა მღვდელი მაღალ სასწავლებელში კურს დამთავრებულია, იქ, სადაც ეკლესიები და სამღვდლოება ყოველთვის უზრუნველნი არიან და ღიღღრები, ეს დაარსებული ძმობა თურმე ძლიერ სულს ღაფავს და არაფრის გაკეთება არ შეუძლიაო. თუ ეს ხდება ამისთანა შეძლებულ საზოგადოებაში, რას უნდა მოველოდეთ ჩვენში? რომელი საზოგადოება და ძმობა იქნება კიდევ იმისთანა შვენიერი მიზნით აღჭურვილი, როგორითაც არის ჩვენში, ესრეთ წოდებული, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. აბა ნახეთ, ამ საზოგადოების წევრები რამ





დენია. ამ საზოგადოების ზოგიერთი დამფუძნებელი წევრები ძლიერ მდიდრები იყვნენ, მათ ნახევარი მილიონობით ქონება დასტოვეს, მაგრამ ერთს არ მოსვლია ის აზრი, რომ იმდენი თანხა დაეტოვებია, რომ ყოველ წლობით საწევრო ფული შეტანილიყო ამ საზოგადოების სასარგებლოდ. იქნება ვისმეს ჰგონია, რომ საზოგადოებას თავისით დიდი სიმდიდრე ექნება. საზოგადოების ან ძმობის სიმდიდრე მისი წევრების შემოტანილ ფულზე არის დამოკიდებული. თუ არაფერს არ შეიტან, არც არაფერი „საზოგადოებას“ ექნება...

ამ ძმობას შეუძლია ეპარქიალური ორღანო დაარსოსო. ამ ორგანოს ხელის მომწერლებიდან ბევრი ფული შემოუა და მით შემწეობას აღმოუჩენს სასწავლებლებსაო! ღმერთმან ინებოს!.. „მწყემსი“-ს უკანასკნელ ნომერში თქვენ წაიკითხავთ ერთი კაცის წერილს, რომელშიაც მოყვანილია სტატისტიკური ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი იწერს ჟურნალ-გაზეთს რაქის და ლეჩხუმის მაზრაში. რაქაში ოთხმოცი ათას სულ მცხოვრებზე აღმოჩნდა, რომ საყმაწვილო ჟურნალს «ჯეჯილს» იწერს მარტო ორი! ამაზე მეტი სამწუხარო მოვლენა იქნება? ამის შემდეგ კიდევ უნდა გექონდეს იმედი, რომ ჩვენში რომელიმე გამოცემას ბევრი ხელის მომწერლები ეყოლება და აქედან ბევრი ფულები შემოვა!.. მამა მელიტონ კელენჯირიძემ ბრძანა, რომ ჩვენში, მართალია, ჟურნალ-გაზეთები არიან, მაგრამ ერთი დიდი ნაკლი აქვსთო, ერთი ის რომ ამ გამოცემათა ოფიციალური განყოფილება არა აქვსთო და მეორე ძლიერ მცირე სივრცე აქვსთო და დიდ სტატიებს ერთბაშით არ უჭერხდება დაბეჭდაო. «საქართველოს საქსარხოსოს მახარობელს» ხომ აქვს ოფიციალური განყოფილება? სწორეთ ახალი გაგონება არის ჩემთვის, რომ ოფიციალური განყოფილებით რომელიმე გამოცემას ხელის მომწერლების რიცხვი გაემრავლებიოს!.. თუ შენდა უნებურად გამოგაწერინეს გამოცემა, მაშინ ხომ კითხვის ინტერესი სახეში აღარ იქნება მიღებული. სქელი სტატიების ბეჭედვას სქელი ფულებიც ეჭირვება და ეს ფულები საიდან შემოვა, არ ვიცი!.. აიღეთ ზოგიერთი ჩვენში დაარსებული ძმობანი. დიდი შესავალი აქვსთ? ბევრი წევრები ყავს? ზოგიერთი «ძმობანი» არსდებიან დამაარსებელთა ან ინიციატორთა სახელის სადიდებლად და ამისთვისაც არ მოაქვსთ ნაყოფი.

ეს ოხერი გული არ მიშვება დორემ სულ არა-

ფერს ვიტყვადი. და არავის მოვიმღურობდი. ვიტყვი მოკლედ. კაცის ბუნება ისეა რაღაცა ნაირად შექმნილი, რომ ბევრს ფაქრობს და ბევრი იმედები ებადება, მაგრამ ყოველთვის გონების თვალთ უნდა განსჭვრიტო, გაარჩიო ნამდვილისაგან ის, რასაც ქვიან ოცნებობა ზოგიერთების დასარწმუნებლად დღეს ჩემი სიტყვები არ კმარა. ვიცოცხლოთ და დროება დაარწმუნებს მათ იმაში, რაც დღეს არა სჯერათ და რაც ასე ადვილ შესასრულებლად მიაჩნათ»...

(შემდეგი იქნება)

გარეგნობით კეთილ-მსახურების დაცემის მიხედვით ჩვენ ხალხში და მისი აღსადგენი საქმელები.

დასასრული \*).



ყველაზე უფრო დამამწვენებელი ეკლესიურ სამსახურისა არის გალობა. მწყობრი და კეთილხმოვანი გალობა ხალხს ძლიერ იზიდავს და აიძულებს მას ზეცი-სადმი სულის აღმაღლებლად. ამიტომ ყურადღება უმთავრესად საეკლესიო გალობას უნდა მიექცეს. სამრევლოში უნდა გამოარჩიონ კარგის ხმის მქონნი და მათგან მგალობელთა გუნდი უნდა შეადგინონ. აგრეთვე საეკლესიო გალობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სამრევლო სკოლების ბავშვებმაც. ჩვენ ქართულ საეკლესიო გალობის შესახებ უნდა ითქვას ისა, რომ მისი საკმაოდ შესწავლა ფრიად ძნელია და ყველასათვის შესაძლო არ არის, და იგი მხოლოდ მაშინ გამოდის კარგი, როდესაც მას კარგის ხმის და სმენის პატრონები ასრულებენ,—კიდევ ისა, რომ იგი ახლანდელ ქართველის ევროპიულად განვითარებულ სმენას არ აკმაყოფილებს. ამისთვის უნდა იქნეს შემოღებული გაადვილებული და ევროპიულად გაკეთილხმოვნებული გალობა, რასაკვირველია ჩვენის გალობის ძირითად განსხვავებათა დაცვითა. ქართულ საეკლესიო გალობაზე სალი მსჯელობა წარმოსთქვა „ივერიაში“ ამასწინად ბ. კორნელი მალრაძემ. ქართულ ძველ გალობის მემარნი დაჟინებით გააძახიან, რომ მეცხ-

\*) იხილეთ „მწყემსი“ № 5, 1889 წ.





რამეტე საუკუნის დამლევს მცხოვრები ქართველი უნდა გალობდეს ისე, როგორც წარსულს საუკუნოებში გალობდნენ და იმ საყოველთაო კანონს კი იფიქრებენ, რომ კაცის ცხოვრების ყოველივე მხარე წინსვლაში მიდის, ერთსა და იმავე წერტილზე არ ჩერდება, კერძოდ, ესტეტიკური გრძნობაც. ამიტომ ახლანდელი ქართველი ითხოვს ახლად შემუშავებულ გალობასა. ესეთი გალობა მას უფრო დააკმაყოფილებს, მაიზიდავს ეკლესიისადმი და მისი შესწავლა გაადვილებული და ყველასთვის შესაძლო იქნება. კიდევ, იმ ბატონებს არ უნდათ შეისმინონ, რომ ძველის გალობის შესწავლის სიძნელისაგამო საეკლესიო მოსამსახურეთა კანდიდატებს არ შეუძლიათ შეისწავლონ იგი ისე, რომ სათვისთოდ იგალობონ და ამიტომაც ჩვენ ეკლესიებში მხოლოდ უფალო შეგვიწყალეს გალობენ. გ) სხვა და სხვა სამხიარულო საეკლესიო მსახურებანი: არქიელის მსახურება, პარაკლისის გადახდა კრებულის, სასწაულთმოქმედ ხატების შეგვება და მათი ჩამოტარება ხალხში, ლიტანიები და სხვა და სხვა. აქ გვეტყვიან, რომ ასე ხელოვნებით გამშვენებულ ღვთის—მსახურებით აღძრული რელიგიური გრძნობები ადამიანში არ იქნება თვითმნებლობითი, წრფელი, ღრმა, და ამიტომ იგი უმნიშვნელოა. ამაზე ჩვენ ვიტყვიან შემდეგს. რასაკვირველია ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ ყველას შეგვეძლოს სულის და გულის ღვთისადმი აღბურება, გულმხურვალედ ლოცვა გარეგან საშვალებათა უხმარებლად, მაგრამ რადგან ჩვენ ყველას ეს არ ძალგვიძს, ამისთვის სარწმუნოებრივ გრძნობების წარმოშობისათვის ჩვენ ბუნებაში ესაჭიროებთ გარეგან საშუალებებში, ამას გარდა, გარეგან გამშვენებელ ღვთისმსახურებას ადამიანისთვის განა რამე ენება მოაქვს, პირიქით დიდი სასარგებლოა იგი, მის მავიერ, რომ ხალხი სხვა და სხვა ადგილებზე ცუდად დროს ატარებდეს, ის არ ჯობია მივიზიდოთ იგი ეკლესიებში ღვთის-მსახურების სიმშვენითა და მივცეთ მას მიზეზი სულის აღმართვისა ღვთისადმი. მართალია, მისი დგომა ეკლესიაში არ იქნება შეერთებული გამუდმებულ ლოცვასთან, მისი ყურადღებას მიიქცევს გალობის ასრულება, ეკლესიის შინაგან მორთულობის სიმშვენიერე, ეკლესიის მოსამსახურეთა სხვა და სხვა მოქმედებანი, მაგრამ ამას არა უშავს რა, ეს დრო გამოშვებით იქნება.

3). ქადაგება ეკლესიის კათედრიდგან. მაგალითები გვიჩვენებენ, რომ ქადაგება ხალხს ძლიერ იზიდავს ეკლესიაში, ქადაგება არა ორჯელ და სამჯელ მთელს წლის განმავლობაში, არამედ, რაც შეიძლება, ხშირი, თითქმის, ყოველ კვირა—უქმედეს წარმოთქმული ქადაგება, შედგენილი სამწყსოთა ქონებრივ განვითარების მიხედვით და მათ სულიერ მოთხოვნებთან, ზნეობის მდგომარეობის შესაფერ, ქადაგება ნათელი, გონივრული, სადა, ყველასთვის გასაგები, ზეპირად, ურვეულოდ წარმოთქმული; გრძელი, მრავალქრელ სიტყვოვანი ქადაგება არ არის მოსაწონი, მისგან ხალხი იღლება და ბოლოს დროს იგი მას თავსაც აბეზრებს. ხშირად გაიგონებთ ჩვენ სამღვდლოებაში სიტყვას ქადაგების უსარგებლობაზე. ამბობენ, ფუჭი და უნაყოფოა იგიო, მისგან ზნეობრივი ცხოვრება ხალხისა სრულიადაც არ უმჯობესდებაო,—მართალია, ქადაგება სამწყსოის მომეტებულ ნაწილის ცხოვრებას ვერ შეცვლის, მაგრამ ორიოდე ადამიანი ხომ მაინც ჩაფიქრდება და იმაცადინებს თავისთვის ზნეობრივად გადაქმნასა, გასწორებას და გაუკეთესობას. თუ არცეთიც არ გადაკეთდა, ცოდვილიანობის შეგნება მაინც დაიბადება ხალხში. თუ ესეც არ იქნა, რელიგიურს ცოდნას მაინც შეიძენს ხალხი, და მისი გონება ცოტათი მაინც ამოძრავდება და განვითარდება, და ესეც ხომ კარგი საქმეა. ძლიერ სცდებიან ის მოძღვრები, რომლებიც ქადაგებას საჭიროდ რაცხვენ მხოლოდ ხალხის ზნეობრივ ცხოვრების განახლებისათვის, ადამიანის ბუნების სრულყოფისათვის. მოძღვრებმა უნდა იქადაგონ კიდევ იმისთვის, რომ შესრულონ თვისი მოვალეობა, მათ თვისი საქმე უნდა გააკეთონ, ხოლო რაც შეეხება კაცის ზნეობითის ცხოვრების გაუმჯობესობას, ეს ღვთის ნებაა. კიდევ ჩვენი განათლებული სამღვდლოება უქადაგებლობის მიზეზს აწერს თვის მოუმზადებლობას, მას, რომ იგი სასულიერო სკოლაში ქართულ ენაზე ქადაგებას არ შეაჩვიეს, ეს სულ ტყუილი მიზეზიანობაა. თუ გინდ რომ ეს ასე იყოს, განა ჩვენ ისე სუსტები ვართ, ისე მოკლებული ვართ თვით მოქმედებას, რომ არ შეგვიძლია ჩვენივე შევივსოთ ჩვენის სწავლა-განათლების ნაკლი, ჩვენივე ვიკითხოთ ქართული საღმეთო წერილი, ჩვენივე შევისწავლოთ ქართულ ენაზე ქადაგების შედგენა. თუ ეს არ შეგვიძლია, მაშ ჩვენ კაცები არ ვყოფილივართ და





ანაფორის ტარების ღირსიც არ ვყოფილვართ. არა, ამის მიზეზი მხოლოდ ჩვენი დამღუპველი თვისებაა, ჩვენი სიზარმაცე; ჩვენ გვყვარს ლაპარაკი, ყმედობა და არა საქმიანობა; ენას ძალიან ვატრიალებთ, ხელს კი არ ვანძრევთ, ენერჯიას არ ვიძენთ. შრომა, თვით მოქმედობა, ძმებო!...

კაჭახიძე.

**საზოგადოებრივი ევოლიუციი**

და  
**თანამედროვე სამღვდელთა.**

(დ. კლდიაშვილის სურათის გამო: „მრეკლეში“, „შოამბე“, 1898 წ. № 1).

დასასრული \*).



ანამედროვე ჩვენი სამღვდელოების ცხოვრების პირობები იმნაირად მოეწყო, რომ ამ პირობების ზედგავლენით მასში (სამღვდელოებაში) გამოწვეული მოძრაობა ერთ რომელსამე სოფელში დაუღებრობასა, სხვა „უკეთეს მრევლის“, ქალაქ-დაბებში სამსახურის ძებნაში გამოიხატა, ან აქვს მიდრეკილება გამოიხატოს \*). უეჭველია ამ გვარი მიდრეკილება (უკეთესი ადგილის ძებნისადმი) ჩვენს სამღვდელოებაში ყოველთვის იყო, უეჭველია იგი იმ შავ-ბნელ დროშიაც იქნებოდა, რომელსაც ბატონყმობას ეძახიან,—მარამ ბატონყმობის გადავარდნამდი ამ მიდრეკილებას თავისუფალი მხედველობა არ ქონდა, და, მაშინდელი პირობების მხედველობაში მიღებით, ძნელიც იყო

იხ. „მწყემს“, 5, 1899 წ.

\*) ეს სტრიქონები ჩვენ უკვე დაწერილი გვქონდა, როდესაც იპრეთიდან წერილი მივიღეთ, სადაც გვატყობინებენ, რომ ამ დღეებში ორმა ახალგაზრდა (ჩვენმა კარგათ ნაცნობმა) სოფლის სემინარიელმა მღვდელმა ბევრი მეცადინეობის შემდეგ, როგორც იქნა, ქალაქებში იზოვეს სამსახური, „ამათი (ე. ი. სემინარიელების) შეხედულებით—დასძენს ჩვენი კორესპოდენტი—თითქმის ყველა სემინარიელი მღვდელი ქალაქის ადგილას ეტანება“.

ქონებოდა. ამას უშლიდა, ერთი მხრით, მაშინდელი კარ ჩაკეტილობა და მეორე მხრით, ამ კარჩაკეტილობის უმთავრესი მიზეზი—მებატონე, რომელიც თავის სოფლის მღვდელს, ოდესღაც მის ნაყმევს, ნებას არ აძლევდა თავისუფლად მრევლი გამოეცვალა (გაგვიგონია: ზოგიერთი ბატონები მღვდელს ქურშიაც კი ჩაგზავნიდნენ ხოლმე სარეცხათაო), ის კი არა და, ხშირათ თავის ყმას საღიაკნოთ წერაკითხვის სწავლასაც კი სასტიკად უკრძალავდნენო,— ასე რომ მღვდლის ბედ-იღბალი უფრო მებატონისაგან იყო დამოკიდებული, ვინემ საკუთრათ მისგან, მისი სურვილისა და წინ-გაჭკრეტისაგან. აგეთი იყო ის ნეტარსხენებული დრო და, უეჭველია, მაშინდელ პირობებში მღვდელს ადგილის გამოცვლა, რომ კიდევაც ნდომებოდა, ძალიან გაუჭირდებოდა; მაშასადამე მისი მაშინდელი „მიდრეკილება“ (უკეთეს ადგილისადმი) მხოლოდ სურვილათვე უნდა დარჩენილიყო განუხორციელებელი. დღეს კი, როცა ბატონ-ყმობის უღელი წინ აღარავის უდგია, ცხადია, სასულიერო წოდებამაც თავისუფლად ამოისუნთქა და მრევლის არჩევანშიაც დაუბრკოლებლათ შევიდა. როგორც ვიცით, ეს მოძრაობა ბატონ-ყმობის გადავარდნაზე ცოტა წინეთაც დაიწყო, როცა რუსეთის კანონმდებლობის თანახმათ ჩვენს თეთრ-სამღვდელოებას, წინანდელზე შედარებათ, მეტი საღიათი მიეცა და მღვდელობის საკანდიდატოთ შვილების „გამოზრდა“ სავალდებულოთ გაუხდა. მარამ განსაკუთრებული ძალა და სისწრაფე ამ მოძრაობამ მხოლოდ მას შემდეგ მოიპოვა, როცა ბატონ-ყმობის უღლისაგან განთავისუფლებული ჩვენი სამღვდელოება ახალი დროის ეგრეთ წოდებულ «თავისუფალ შრომის და პროფესიების» უღელში ჩაება, როცა მამაპაპისეულობა ადგილზე მისთვის მნიშვნელობა დაკარგა (თუ წარმოდგენაში არა, ფაქტიკურათ მაინც კი), ხელიდან გამოეცალა და ეგრეთ წოდებულ „ინტელიგენტ-პროლეტარის“ ხვედრი არგუნა, ბრმა „შემთხვევისა და ოქროს ვერძის» სათამაშო გახდა)...

„ამ რიგათ, „მოძრაობა“ კი დაიწყო და ეს მოძრაობა „უკეთეს ადგილის“ ძებნაში გამოიხატა. მარამ რადგან ეს „უკეთესი ადგილები (ქალაქ-დაბები და რკინის-გზის-პირი სოფლებია, ჩვენში ჯერჯერობით ძალიან ცოტაა;—იქ გადასვლის მსურველთა რიცხვი კი დღითი დღე მატულობს,—ამის გამო





აღნიშნულ მისწრაფების დაკმაყოფილება მხოლოდ „რჩეულთა“ ხვედრს შეადგენს. ამ რჩეულთა რიცხვში კი უფრო იმისთანები ხვდებიან, ვისაც გონებრივი მომზადება, ან „გავლენიანი ნაცნობობა“ უწყობს ხელს, ან ორივე ერთათ. ერთი სიტყვით რაც პატარა „შეგნებული“ და „გავლენიანი“ საზღვდელია, სოფელს ერიდება და ქალაქ-დაბებში ან მათ მახლობლათ ისადგურებს. ხოლო „სოფელში“ რომელსაც ვხედავთ, იმისი ერთა ნაწილი, მის ნაცვლათ რომ სამწყსოში მეტი გონებრივი ნათელი შეეცანა, ზნეობრივად შეემაგრებია იგი, უმეტეს ნაწილათ, საჭირო მომზადებას და „გარეშე დახმარებას მოკლებული, ან და უძრავი ქონების «სიმძიმით» სოფელზე მიჯაჭვული, თვით გამტდარა მსხვერპლი სოფელეთა სიბნელის და ზნეობრივი უმწყობისა, შეუთვისებია თავიანთი სამწყსოს ზნე-ჩვეულებანი და შეხედულებანი,—ერთი სიტყვით, სხვისი გაწვრთნის მაგიერ, თვით გაწვრთნილა (რასაკვირველია, რეგრესიულათ), გასოფლოურებულა, „დაჩლუნგებულა“,—ამავე დროს არც შეიძლება ნაწილს ძინავს. მაგრამ ამ უკანასკნელის მოქმედება სულ სხვა სურათს წარმოადგენს. ეს დასი უფრო ახალ-გაზდა „კურსოვნიკ“ მღვდლებისაგან შედგება)—მაშასადამე იმისთანა პირთაგან, რომელთაც უკვე ქალაქის გემო უნახავთ და,—მაშინ, როცა პირველი დასი სოფელელებში ირევა-ილესება,—ამავე დროს უკანასკნელი, სამოღვაწო ასპარეზზე პირველ მიხლამოხლის შემდეგ, უკვე სოფელს განზე გადაგომია, თავისი ცხოვრება და კარ-მიდამო ახალ-გემოვნებაზე მოუწყვია და, თუ შეძლებაც ხელს უწყობს, თითქმის, ქალაქურათ ცხოვრობს... მარამ ეს გარემოება მას სრულებითაც არ უშლის ხელს „უკეთეს“ ადგილას გადასვლაზე იოცნებოს, თვალი „ქალაქისკენ“ ეჭიროს (არამც თუ არ უშლის, პირიქით, კიდევაც ეხმარება მის აზრთა და სიმპატიათა „ქალაქისკენ“ მიმართულებას: ხარჯი ხომ სოფელშიაც საკმაო მომდის, მაშ უმჯობესი არ იქნება, ამავე ხარჯით სადმე ბაზრის ადგილას ვიცხოვროვო და სხვ.). თქმა არ უნდა, რომ ამისთანა მღვდელი თავის მრევლზე გულს ვერ დაიმიყარებს: მას სოფელიური ცხოვრება აღარ მოწონს, მის თვალში სოფელი უკან, ძალიან უკან არის ჩამორჩენილი, იგი მას ვეღარ აკმაყოფილებს, ვერ იზიდავს; მას და სოფელ შუა „ხილია წატეხილი“; მაშასადამე

მისთვის აქ საფუძვლიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობაც მოუხერხებელი გამხდარა. უეჭველია, ამ შემთხვევაში იგი თავის მრევლის აღარაა, მრევლს მოწყვეტია და, თუმცა ცხადათ „მრევლზე“ მიკრული, მარამ გულით და გონებით კი მას აღარ ეკუთვნის. სიტყვით, სოფელი მისთვის მკვდარია და საქმით სოფლისათვის იგიც მკვდარია.—უკეთეს მდგომარეობაში არაა არც პირველი დასის მღვდელთა ფსიხოლოგია. პირველათ აქ თქვენ განცვიფრებთ ის გაზვიადებული წარმოდგენა თავის თავზე, თავის ღირსებაზე, რომელიც ასე ხშირია ამ დასის მღვდელთა შორის. რადგანაც მათი შეხედულებანი, გრძნობები და სიმპატიები თითქმის მთლათ იმ წრის სოფელ-მხედველობას (microsoberpanie) გასწორებია, რომელშიაც იგინი სცხოვრებენ, ასე რომ მათი თვალთა ხედვის ისარი სოფელს ვეღარც კი გაცილებია, ყოველივე ეს, ძველ ტრადიციებთან ერთათ, მათ ხელს უწყობსთ, თავის საზოგადოებრივს და რამოდენათმე გონებრივს, ხალხთან შედარებით უფრო საღვათიანს, მდგომარეობაზე გაზვიადებული აზრი შეადგინონ, თავისი თავი «პატარა მეფეთ» აღიარონ... ჩვენ არას ვიტყვით იმაზე, თუ რამდენათ საბუთიანია აღნიშნული კატეგორიის მღვდელთაგან ამგვარი თავის დიდება... ეს კი უნდა ვთქვათ, რომ თუმც ეს „პატარა მეფე“ „ამ ქვეყნის მძლავრთა“ წინაშე ხშირათ საკმაო დამცირებას და სატანჯველს განიცდის ხოლომე,—მარამ, სამაგიეროდ, სურათი სულ სხვა სახეს იღებს, როცა მას საქმე თავის ხელ-ქვევითთან, თავის „უნტროსთან“ გამოუჩნდება, განსაკუთრებათ, როცა იგი (საქმე) „გასამრჯელოს“, მიღებაზე მიდგება. რა საშვალებას არ ხმარობს მაშინ იგი, რომ თავის „ნაშრომ-ნაღვაწევი“ „არ დაკარგოს!.. თუ სიამტკბილობით მიცეს, რაც ერგება, ხომ კარგი,—თუარამ და მეტი რაღა გზა აქვს: ან ხვეწნას უნდა მიმართონ და ან მუქარას, ხშირათ შერისხვა-შეჩვენებასაც კი გაიგონებთ მის „ურჩისკენ“ მიმართულოს და სხვ.—ამ შემთხვევაში კი პირველი და მეორე დასის ინტერესები ერთათ იყრიან თავს (მხოლოდ იმ განსხვავებით რომ მეორე კარგათ ხედავს, რომ თანამედროვე პირობებში მღვდლის დამცირება და შეურაცხყოფა დიდ საქმეს არ შეადგენს, თუნდ უკანასკნელ სოფელელებშიაც კი,—ამიტოა, „ხალხს“ განზე გადაგომია, ხანდახან ვითომ ძველ არისტოკრატისაც ფიქრობს



წაბადოს და მიეკედლოს, მარამ ვერ მოუხერხებია): პირველსაც და მეორესაც ხალხთან ის „ოქროს ძაფილა“ აკავშირებს, რომელიც ამასთანავე ერთ უმთავრეს მიზეზათ ხდება მათ შორის ანტაგონიზმისა, ერთს უმთავრეს საგანს შეადგენს მათის ფიქრისა და ხალხთან სჯა-ბაასისას, ან უკეთ რომ ვთქვათ ხეყნა-მუდარის ან დავა-მუქარისას.

რას შერება ამ დროს ხალხი? რას გრძნობს იგი სამღვდლოების მიმართ? უეჭველია, სამღვდლოების ამგვარს დამოკიდებულებას იგი კაი თვალთ არ შეხედავს, ვერ შეურიგდება. და მართლაც ხალხისაგან სამღვდლოების უპატივცემულობა, მისდამი გულ-ცივი მოპყრობა დღეს ჩვენში იგეთსავე ჩვეულებრივ მოვლენას შეადგენს, როგორც სამღვდლოების მხრივ ხალხის დღიურ ვარამის და საჭირბოროტო კითხვებისადმი გულგრილობა. ერთსაც და შეტრუსაც საერთო ძირეული მიზეზი აქვს და ამავე დროს ერთივე შეტრუსის მიზეზი ხდება: ხალხის უპატივცემულობას სამღვდლოებისადმი, საზოგადოთ, ძველ რელიგიურ რწმენათა შერყევის გარდა, — რაც ჩვენი დროის ერთს სათვალდათვალა ნიშნაულობას წარმოადგენს და რომელიც ამასთანავე, პირდაპირი შედეგია ახალი საზოგადოებრივი წყობილების ძველ წეს-წყობილებასთან ბრძოლისა და ამ ბრძოლაზე აღმოცენებულ ახალ ინტერეს-გრძნობათა, ზნე ჩვეულებათა და სოფლმხედველობისა, — მიზეზათ ხალხის უმრავლესობის გაჭირვებული მდგომარეობა და სამღვდლოებისავე გულგრილობა ედება; ამ უკანასკნელს კი — როგორც ეს ჩვენ უკვე დავინახეთ — იმავე საერთო ძირეულ მიზეზით გამოწვეული სამღვდლო ოჯახების ახალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში ძველი სოფლური წყობილების შეუფერებლობა, გამოუსადეგრობა და, აქედან წარმომდგარი, სოფლისადმი სამღვდლოების უკმაყოფილება ქმნის.

ეს ყოველივე, მთავრობის მხრით, სხვა და სხვა განკარგულებებს იწვევს აღნიშნულ სენთან სამბრძოლველათ, როგორც მაგალ.: საკრებულო ჯამაგირების შემატებას, — სამრევლო შკოლებში მღვდელთა საღმრთო სჯულის მასწავლებლათ დანიშვნას, — აღკრძალვას (ზოგიერთ ეპარქიებში) სოფლელ სამღვდლოებამ „ბლადოჩინთა“ ნება დაურთველათ ქალაქებში იარონ და სხვ ყველა ეს საშვალებანი, რასაკვირველია, უარ ყოფითს მხარეებთან, ერთგვარს

ძალასაც არ არიან მოკლებულნი, მარამ რომ ამ მოვლენის მოსასპობლათ იგინი არ კმარან, — ესეც, ვგონებთ, ყოველ ეჭვს გარეშეა. ამ რიგათ, ამ კითხვის გადაწყვეტა ჯერ კიდევ მერმისის საქმეს შეადგენს; მანამ კი ჩვენ მეტი რაღა გზა გვაქვს, ამ ცოტასაც ვჯერდებით.

დროებით ჩრდილოელა ს. გ.



იარალის ახრა და საერთო მშვიდობიანობა.



აერთო ყურადღება მიიქცია რუსეთის ხელმწიფის წინადადებამ იარალის აყრის და საერთო მშვიდობიანობის დამყარების შესახებ. როგორც რუსეთის, ისე ევროპის ჟურნალ-გაზეთები გვაუწყებენ,

თუ რა თანაგრძნობა გამოხატეს ამ საგანზე სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა. დაწვრილებით ვერ ავსწერთ, რა შეხედულება გამოითქვა ამ საგანზე, მხოლოდ უნდა შევნიშნათ, რომ უმეტესობას შეუგნია, თუ რამდენად ძირითადი კითხვაა ეს კაცობრიობის თანამედროვე ცხოვრებაში და რამდენად ღირსია სრული თანაგრძნობისა; თუმცა ისეთი აზრებიც გამოითქვა, რომ ეს სიტყვა სიტყვად დარჩება, რადგან დროს შეუფერებელია და შედეგაც არაფერი მოჰყვებაო. რა იქნება და არა, ამას მალე დავანახებთ კონფერენცია, მხოლოდ ჩვენ გვსურს მივაქციოთ მკითველის ყურადღება ამ კითხვას ისე, როგორც ერთს ისტორიულს მოვლენას; აღვნიშნათ ის პირობები, რომელთაც გამოიწვიეს ეს მთელი ქვეყნის საყურადღებოდ; ესთქვათ, დროს შესაფერია ეს თუ არა, და თუ არის, რამდენად ღირსია თანაგრძნობისა.

აწმყოს ამხსნელი მომავალია, მაგრამ ისტორიაში ყოველ მოვლენას ექცევა ყურადღება ისე, როგორც გამოწვეულს სხვა და სხვა პირობების და კანონების ძალით; არც ერთი ბუნებრივი მოვლენა უეცრად და უმიზეზოდ არ მოხდება; ერთი მოვლენა მეორეს გამოიწვევს, ერთი მეორეს უმზადებს ნიადაგს და ამგვარად მოძრაობს კაცობრიობის ცხოვრება და მთელი ისტორიაც ვგრე მიმდინარეობს.



ეს საყურადღებო წინადადებაც, როგორც ერთი ისტორიული მოვლენა გარემოებათა დაკვირვებით შეიძლება აეხსნათ შემდეგი სახით.

თუ ჩაუკვირდებით რუსეთის ისტორიას და მხედველობაში მივიღებთ სლოვნიანების ბუნებრივ თვისებებს, დაინახავთ, რა პირობებმაც გამოიწვიეს ასეთი საყურადღებო წინადადება. სლოვნიანები, როგორც ამბობს ისტორია საუკეთესო წარმომადგენლების პირით, არ იყვნენ მეომარი ხალხი. ბრძოლის ველზე ლტოლვილება და გულითადი მეომრობა არ შეადგენდა მათ ბუნებრივ თვისებას. უწინაც გერმანელები განსაკუთრებით იმ მიზეზის გამო, რომ სლოვნიანები მეომარნი არ იყვნენ და ომიანობა არ ემარჯვებოდათ, სწუნობდნენ მათ და სახელმწიფოსთვის უსარგებლო წევრად (ელემენტად) სთვლიდნენ. ამიტომაც რუსეთის ისტორიაში, თითქმის, ყველა ომს დაკვირვებით ხასიათი ჰქონდა და არა თავს დასხმითი [испорчительный, а не наступательный характер).

ამისათვის მოსალოდნელი იყო, რომ ასეთ ხალხში შემზადებულიყოს მშვიდობიანობის ნიადაგი და საერთო იარაღის აყრის ინიციატორიც ასეთი ხალხის ბუნების და მიმართულების გამომატველი ყოფილიყოს. რუსეთის ისტორიაში დიდი ხნიდგან უმზადდება ნიადაგი ასეთს კაცურს და მალალ-ზნეობრივ წინადადებას. ეს წინადადება არ უნდა ჩავთვალოთ ჩქარი შთაბეჭდილების შედეგად, ან უცებ წარმოთქმულ აზრად. ეს არის აზრი, რომლის ნიადაგიც ცხოვრების ისტორიულ მიმდინარეობაში დამზადდა და რომელსაც ამ უკანასკნელი 20 წლის მშვიდობიანმა მეფობამ მისცა ძალა. ასე რომ ეს წინადადება არის მთელი ეპოქის ვითარების გამომეტყველი და არა წარმავალი გრძნობის შედეგი. ასე უყურებს ისტორია ყოველ ასეთს შესანიშნავ მოვლენას და ასე აღნიშნავს მომავალი შთამომავლობის საყურადღებოდ.

ამგვარად წარმოითქვა ეს საყურადღებო წინადადება, მაგრამ კითხვა იმაშია: დროს შესაფერია თუ არა, და ამის მიხედვით სიტყვად დარჩება, თუ მოსალოდნელია რამე შედეგი?

ამისათვის საჭიროა მივაქციოთ ყურადღება დასავლეთი ევროპის ცხოვრებას და საზოგადო მდგომარეობას.

თუ გადავავლეთ თვალი თანამედროვე ცხოვ-

რებას, ერთი მხრით შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ეს კითხვა მართლაც დროს შეუფერებელია და ამისთვის მეტი საბუთია, რომ ის სიტყვად ჩაივლის. ამას გვაფიქრებებს ამ ბოლო დროს ყველა სახელმწიფოში გავრცელებული მილიტარიზმი, ე. ი. ჯარის და სხვა და სხვა საომარი იარაღების გამრავლება. ევროპა, სადაც ყოველი წარმოება მეტად განვითარებულია, სადაც გულმოდგინედ ანგარიშობენ იმასაც კი, რამდენი ზარალი მოუვიდა ფირმას, რამდენიმე წამს მუშაობის შეჩერების გამო, ათასობით აშორებს მუშა ხალხს ქარხნებს, მოლაშქრედ აყენებს ყაზარმებში და სახელმწიფო ფულს უხვად ახარჯებს მათ. რად შერება ამას ევროპა? მუშა ხალხს აცდენს და საკუთარ ფულსაც მათ ახარჯებს! რისი შედეგია მილიტარიზმი?

მილიტარიზმი, გადაჭრით უნდა ესთქვათ, არის კულტურული განვითარების და ყოველი წარმოების გაძლიერების შედეგი. საკვირველი არ არის, რომ ის სახელმწიფო, რომლის ავ-კარგი დამოკიდებულია მუშა ხალხზე, ის სახელმწიფო, რომელიც ქარხნებში ხედავს თავის გამდიდრების და აყვავების საშუალებას, მუშა ხალხს, ამ თავისს სასიცოცხლო ძარღვს, ანებებინებს თავს მუშაობისათვის და სამზღვარზე აყენებს მტრის მოსაგერებლად. ეს მოვლენა გასაკვირველი არ არის მიტომ, რომ დღეს ყველამ შეიგნო, რომ სისხლის ღვრის დრო წავიდა; დროთა ვითარებამ და სხვა და სხვა სოციალურმა პირობებმა მოსპეს ძველი ომიანობა როგორც ჩვეულებრივი მოვლენა და ის შეხედულება ომზე, რომელსაც საშუალო საუკუნოებში ჰქონდა ადგილი, ე. ი., როცა რაინდი არც აქეთ, არც იქით იღებდა ხელში ხმალს და ერთი უაზრო გრძნობის დასაკმაყოფილებლად მიეშურებოდა ბრძოლის ველზე საომრად. საზოგადოდ ომი მაშინ იყო ხელობა რაინდის; ომი იყო მისი ნიჭის, გმირობის და ღირსების გამომატველი და დამამტკიცებელი საბუთი. ეხლა კი ფიზიკური შეტაკება ღირსება არ არის. ომი კაცურ მოვლენად აღარ ითვლება. განვითარებული გონება კაცის არ სცნობს ომში სისხლის დაღვრას ზნეობრივ მოვლენად. ეხლა საზოგადოების მოწინავე წევრთა უმეტესობას გათვალისწინებული აქვს ის აზრი, რომ საჭიროა შინაგანი ძალის განვითარება და ომზე ხელის აღება. ხოლო თუ გაძლიერდა მილიტარიზმი და მზადება ომისთვის, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს,





რომ ხალხს კიდევ სისხლი სწყუროდეს და ომის არ ერიდებოდეს. „ვისაც მშვიდობა სურს, ომისთვის მოემზადოსო“. მართლაც, მეფე თუ საომარ საშუალებებს აძლიერებს, ეს მარტო იმას არ ნიშნავს, რომ მან უნდა იომოს თვისი სამფლობელოს გასაფართოებლად, არამედ იმას, რომ მტერი შეაჩეროს და ომი, როგორც მავნებელი შემთხვევა, თავიდან აიცილოს.

საზოგადოდ თუ მივიღებთ სახეში კაცობრიობის ეხლანდელ მდგომარეობას, შეიძლება ვსთქვათ, რომ ომის მაგიერ ზნეობრივი საშუალების დასახელება ურთიერთ შორის კავშირის დასაცველად დროს შეუფერებელი არ არის, და ამით აიხსნება ის აღტაცება, რომლითაც მიეგება ამ წინადადებას უმეტესობა. ის თანაგრძნობითი სიტყვები, რომელიც წარმოთქვს სახელმწიფო უფლების წარმომადგენლებმა, ამტკიცებს, რომ ეს ზნეობრივი წინადადება ეთანხმება განათლებულს გონებას და ქრისტიანულ გრძნობას.

ცხადია, რომ ევროპამ ნახევრად აასრულა კაცის ქვეყნიური ცხოვრების დანიშნულება, რადგან გონების განვითარება და კულტურულად წინმსვლელობა არის კაცის არსებობის მიზნის ნახევარი. ევროპაში შესამჩნევად წაიწია წინ გონების განვითარებამ, იქ აყვავდა მეცნიერება და ისეთი ნიადაგი შექმნა, რომ მომავალში დიდ იმედს იძლევა. «რიონტგენის სხივები» და სხვა ახალი მანქანები ჩქარი ნაბიჯია მეცნიერებაში, ქება-დიდება და პირველობის დროშა კულტურულ ცხოვრებაში ევროპას მიანიჭა ისტორიამ, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით სარწმუნოების და ზნეობის შესახებ. სარწმუნოება იქ შესუსტდა და ზნეობა იმდენად დაეცა, რომ ხრწინლებამდის დადის. საფრანგეთს მაგ., რომელიც ყოველ ბიწიერების ბუდეს წარმოადგენს დღეს, სტატისტიკურმა გამოკვლევამ გადაშენება უწინასწარმეტყველა ამ ახლო მომავალში, რამაც საქური საზოგადო მოღვაწენი შეაფიქრა და ძველი გზა მოაძებნია ზნეობის გასამარებლად.

გონება განვითარა და მეცნიერება აყვავდა, მაგრამ ყოველივე ეს რომ მისთვის მოეხმარებოდეს, რომ ზნეობრივად აეწიოს მათში პიროვნებას და საზოგადო ცხოვრებას, ე. ი., რომ სრულიად შეესრულებიოს კაცის დანიშნულება, ვერ შესძლო ევროპამ. რა პირობები არის ამის მიზეზი, ჩვენ ამის განხილვაში არ შევალთ, მაგრამ საქმის ვითარება დღეს ასეთია.

მეორე ნახევარი კაცის ქვეყნიური ცხოვრების დანიშნულებისა, ე. ი.—ზნეობრივი განვითარება და სულიერად თან-და-თან ამაღლება, დასავლეთ ევროპასთან შედარებით, მეტად სრულდება ჩვენს მართლმადიდებელ სახელმწიფოში. აქ უფრო ცდილობენ, რომ გონებრივი განვითარებით და მეცნიერების სინათლით ისარგებლონ ზნეობრივ განვითარებაში, და ამიტომაც პირველი ხმა საერთო მშვიდობიანობისა აქედან გაისმა. ასე თუ ისე ეს კითხვა დროთა ვითარებამ წამოაყენა და გადასაწყვეტად დაუსახა წინ კაცობრიობის უფლებათა წარმომადგენელთ. ამით გამოიხატა საერთო მისწრაფება მშვიდობიანობისთვის და ამისთვის შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ადრე თუ გვიან ეს კითხვა ხალხთა საკეთილდღეოდ გადაწყდება, მომავალი საუკუნე ზარბაზნს და საომარ ტყვია-წამალს ბარდახინზე შეაწყობს და გარეგნული—ფიზიკური შეტოქების მაგიერ ადგილს დაიჭერს გონებრივი და ზნეობრივი პრინციპები.

რამდენად საყურადღებოა ეს კითხვა და სასურველი მისი სასარგებლოდ გადაწყვეტა, ეს ყველასთვის თავალსაჩინოა. ომი არის ზნეობრივი ნაკლულევალება. ქრისტეს მოძღვრების უმთავრესი მიზანია ხალხის ზნეობრივი სისრულე; სიყვარული, ერთობა, ნიკეასის თანაგრძნობა და პიროვნების ამაღლება. ადრე თუ გვიან, ომი უნდა მოისპოს მისდა მიხედვით, რამდენად აიწვევს კაცობრიობა გონებრივად და ზნეობრივად და როდის მიახწევს იმ წერტილზე, რომ შესცვალოს ის პირობები, რომლის გამოც აქამდე ომი აუცილებელ შემთხვევად ითვლებოდა. დიდი თანაგრძნობის ღირსია ეს კითხვა ეკონომიური მხრივაც, რადგან ის მილიონები, რომელიც დღეს ჯარზე იხარჯვის, სწავლა-განათლებას და სხვა წარმოების განვითარებას მოხმარდება.

სწორეთ სასურველია, რომ ეს საუკუნე ასეთი დიდი სასარგებლო საქმით დაგვირგინდეს. სასურველია, რომ მომავალმა კონფერენციამ ეს ზნეობრივი ძალა აღნიშნოს ისტორიაში და აწ ყველას მისცეს საშუალება თავისი ეკონომიური ძალა შინაურ წარმოებას მოახმაროს კეთილად.

ბედნიერება ყოველ ერს, თუ ამ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ცოტათ მაინც დამყარდა „ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“!

ტ. ჯავახიძე.



წერილი რაჭის მახრიდან.

ამ წერილის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ ჩვენს მკითხველს ვაუწყოთ, თუძე არა სასიამოვნო, მაგრამ დასაბუთებული ამბავი იმისა, თუ როგორ არის გავრცელებული სამშობლო ენაზე დასტამბული ქურნალ-გაზეთების კითხვა რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრთა შორის და რამდენი მომთხოვნელი და ხელის მომწერი ჰყავს მათ. მართალია, სამწუხაროდ ჩვენდა, ამ საუკრადდებო საგნის შესახებ გონების თვალის სრულად ახელასა და გამოფხიზლებას ვერც ერთი ჩვენი ქვეყნის კუთხის ქართველობა ვერ დაიქადებს; მაგრამ არც ერთი მათში არ გვეტყულება ამ მხრით ისე უკან ჩამორჩენილი და გონებით ღრმა ძილს მიცემული. როგორც ეს ორი მაზრა, ე. ი. რაჭა-ლეჩხუმი. ჩვენს შენიშვნის დასამოწმებლად მართა ჩვენს საკუთარს ცოდნასა და გამოკვლევას არ ვუკმარებთ, არამედ მოვიყვანთ დასაბუთებასაც: გავლილის 1897 წლის «ივერიის» მე-215 №-ში დაბეჭდილი იყო ბ-ნი ლევანდიის წერილი, რომელშიაც, სხვათა-შორის, ადბეჭდილი იყო ამ საუკრადდებო საგნის შესახებ ფრთხილ განსაცვიფრებელი ანგარიში. ლევანდიის გამოანგარიშებით რაჭის მაზრის მცხოვრებთა რიცხვი ადმატეხა 80 ათასს.. ენლა მოიხსენიეთ ისიც, თუ ოთხმოც ათას ქართველში რამდენი იწერს და ჰკითხულობს თურმე ქართულ ქურნალსა და გაზეთს. იგივე ლევანდიე მოგვითხრობს, რომ დ. ონის ფოსტაში მოდის: «ივერია» 4 ცალი, «ცნობის ფურცელი»—5, «კვალი»—6, «მოამბე»—3, «ჯეჯილი» 2,!! ეს ანგარიში ცხადად მეტუველებს იმას, რომ ოცი ათასს კაცში თურმე მართა ერთი იწერს სამშობლო ენაზე გამოცემულს საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთს!! ორმოცი ქართველის ოჯახში მხოლოდ ერთი იწერს თავის შვილებისათვის ქართულ საყმაწვილო ქურნალს!! «ივერია»-ზე ერთი მკითხველი მეტი უმოვნია «ცნობის ფურცელს», იმაზედ ერთით მეტი «კვალს», ქურნალს «მოამბეს» კა, თუძე ერთის მკითხველით დაუძლევი საცოდავი «ჯეჯილი»-სათვის.

მაგრამ «ივერია»-ს, «კვალს» და «ცნობის ფურცელს» კი, მაინც ვერ გაამხანაგებია.. ეს თავზარ დამცემი რიცხვები რომ შევაერთოთ, დავინახავთ იმ საგოდებელს სურათს, რომ ოთხმოც ათასს ქართველობაში მხოლოდ ოცი მკითხველი ჰყოლია სამშობლო ენაზე დასტამბულსა და გამოცემულს ქურნალსა და გაზეთებს!.. ოთხმოც ათას ქართველთაგან ტკინის საზრდოში, სჩანს, იხარჯება წელიწადში მხოლოდ 39—მანეთი!! ღმერთო ჩემო, რა ამბავია ეს?! რა საშინელი დანაშაული და შემცოდე ვუოფილვართ ჩვენ, რაჰველები დედა ენისა და მშობლიურ ლიტერატურის წინაშე!!.. რა უოფაში ვუოფილვართ გონება-აზროვნების მხრით?!—სამწუხაროთ ლეჩხუმის მაზრაც თავისის მკვიდრთ ამნაირ სურათს წარმოგვიდგენს; ლეჩხუმელები თუ უკან არ არან დარჩენილი ამ საქმეში თავიანთ მოძვე რაჭველებზე, წინბიჯის გადადგმის საბუთი ხომ არ მოეპოებათ...

ჩვენ ამ ქამად ხელთ არა გვაქვს ნამდვილი ანგარიში იმ-სა, თუ რამდენი მკითხველი ჰყავს რაჭა-ლეჩხუმში საერო წოდებაში ჩვენს სასულიერო გაზ. «მწუქმსს», მაგრამ უამისოთაც დარწმუნებული ვართ, რომ ეს გაზეთიც ისე ღარიბი უნდა იყოს ჩვენში ხელის მომწერლებით, როგორც ჩვენი საერო გაზეთება; თუძე ამ ქურნალის გამოწერა და კითხვა ისე საჭირო და სასარგებლოა საერო პირთათვისაც, როგორც სასულიეროსთვის. ამ ბოლო ხანეში, ჩვენდა სასიხარულოდ, ჩვენს მშობლიურს სალიტერატურო გამოცემათ შებატა კდევე ერთი ახალი გამოცემა: ჩვენმა სახელოვანმა მოღვაწემ ბ. აგაკიმ დაიწყო თავის ნაწერების კრებულად გამოცემა. ჩვენ დაიმედებული ვიყავით, რომ ამ შემთხვევაში მაინც გამოაჭყუტდა გონების თვალს ჩვენი ჩაძინებული საზოგადოება და როგორც მწუქრვალი ადამიანი შევნიერა წმინდა წყაროს, ისე დაეწაფებოდა ნიჭიერის მგოსნის გონების ნაწარმოებს. მაგრამ აქაც გავიცრევიდა იმედი!. აქაც არ ადგვის რულდა მოლოდინი. პოეტის კრებულს რაჭის მაზრაში იწერს თურმე მხოლოდ ხუთი ადამიანი!. ხოლო ლეჩხუმის მაზრაში კი ერთი!!.. ისეთის მაღალ ტალანტოსანის პოეტის ნაწარმოებს, როგორიც არის აგაკი, და ორს





მასრაში, რომელიც დასახლებულია მარტო ქართველობით, ექვსი ხელის მომწერი და მკითხველი?! ვაი ჩვენი ბრალი... განა საგულავ ბელი იყო ისეთი ქართველი, რომელსაც გულითადი სურვილი არ აღძროდა აკაკის, ამ ზეგარდამო მაღლით ცხებულის მწერლს ორმოცის წლის ნაწერების გათვალისწინებისა, წაკითხვისა და გაცნობისა?! — მაგრამ განა საბუთებია საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენს გონებრივს დაქვეითებას და უმეცრებას ამ შემთხვევაში, ამ საგანში, საზღვარი აღარ უდევს... რა უნდა აღიაროს კაცმა ამ სამწუხარო მდგომარეობის მიზეზად, თუ არ ის, რომ ჩვენმა ხალხმა ჯერ კიდევ ვერ შეიგნო მშობლიურ ლიტერატურის დიდი მნიშვნელობა, მისი გავლენა და სარგებლობა ადამიანის ჭკუ-გონების, აზროვნების და ცნობიერების ზრდისა და განვითარების შესახებ. დიან, ეს არის მიზეზი, რომ უმრავლესი ნაწილი ჩვენი ხალხისა ჯერ კიდევ ვერ მივიდა იმ წრემდის, შეიგნოს ის უცნალო ჭეშმარიტება, რომ მარტო კუჭის თაყვანის ცემით და მისი გასუქებით ადამიანი შორს ვერ წავა და ვერ მიადწევს თავის ადამიანურს მალაღ დანიშნულებას. რომ ადამიანის სულიერად და გონებრივად ზრდისა და განვითარებისათვის მარტო კუჭის ავსება და მისი სიმძძრე არა კმარა... არამედ ტვინსაც უნდა თავისი საზრდო, და ტვინის ერთი უკეთესი და უნოყიერესი საზრდოთაგანი განლაგდეს მშობლიური ლიტერატურა, ეროვნული მწერლობა... დმურთმან ინებოს, რაჭა-ღენჩუშის მკვადრთა ამ გვარ უოფას მადღე მისცემოდეს დასასრული, შეეგნოთ ჯეროვანად დედა ენისა და დედა მწერლობის ცოდნის საჭიროება, და უფრო გუფს მოდგინეთ მიეუოსთ ხელი მისი კითხვისა და შესწავლისათვის...

ქაიხოსრო გელოვანი.



## სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ცხეობაზე.

თაყვანის ცემა კათიოსნისა და ცხოველ-მყოფელისა უფლის ჯვარისა დიდი მარხვის მისამე კვირიაკის.



დიდი მარხვის მესამე კვირიაკის წმ. ეკლესია წინა-დაკვიდებს ჩვენ ჰატიოსანს და ცხოველ-მყოფელს უფლის ჯვარს, რათა ჩვენ კეთილ-კრძალულებით თაყვანი ვსცეთ მას. ცისკარზე დიდი სადიდებელის შემდეგ შემოსილი მღვდელი დიდის მოწიწებით დაიდებს თავზე მწვანე ფოთლებით და ვეჯილებით შემოსილ ჯვარს და წმ. საკურთხეულიდამ გამოასვენებს შუა ტაძარში და დასვენებს ანალოდიანზე. როცა მღვდელი ჯვარს მოასვენებს ტრაპეზიდან, მგალობლები გაცრძელებულის სმით „წმიდაო დმერთო“-ს გალობენ. ანალოდიანზე ჯვარის დასვენების შემდეგ მღვდელი სამ გზის უკბევს წმ. ჯვარს და გალობს საღმრთო საგალობელს: „ჯვარსა შენსა თაყვანსა ვსცემთ, მეუფეო, და წმიდასა აღდგომასა შენსა უგალობთ ღვადიდებთ. თაყვანსა სცემს ჰატიოსანსა და ცხოველ-მყოფელს ჯვარსა და შემდეგ ეამბორება მას. შემდეგ, მღვდლის მგალობითსამებრ, თაყვანსა სცემენ ჯვარს ეველა მორწმუნენი, რომელნიც ამ დროს ტაძარში ლოცვილობენ.



რატომ სრულდება ეს საღმრთო წესი? რა მნიშვნელობა აქვს მას ქრისტიანეთათვის და ან რა სარკებლობა მოაქვს მათთვის?

ყოველი მართლ-მადიდებელი ქრისტიანე ვაღდებულისა იცოდეს ამ საღმრთო წესის მნიშვნელობა.

ყოველივე მძიმე და საძნელო საქმეს, რომელსაც ჩვენ ჩვენი სარკებლობისათვის ვიწვევთ, შესაფერი მონდომილობით და დიდის წარმატებით ვასრულებთ განსაკუთრებით დასაწეისში და გათავებისას; საქმის დასაწეისში, როცა მომეტებული ძალა გვაქვს და გამსჭვალული ვართ დაწეებული საქმისაგან მოსალოდნელი სარკებლობით, და გამთავეს, როცა არა მიმხედველი თავისი დაქანცულობისა და დაღლილობისა, გამხნეებული ვართ, რომ სადაცაა, მიზანს მივაღწევთ და, შემდეგ საქმის ჯეროვანად დამთავრებისა, მოვიხვეწებთ მძიმე შრომისაგან. დაწეებული საქმე ძლიერ სამძიმო ხდება ხოლმე განსაკუთრებით იმ დროს, როცა დაწეებული საქმე თითქმის ნახევრობით გაკეთებული გვაქვს. და ეს წარმოდგება ერთი მხრით იქედგან, რომ იმ დროს ძალა გვისუსტდება, ვიღალებით, ხოლო მეორეს მხრით დაღლილობისა გამო, გვისუსტდება იმედიც, ვაი თუ დაწეებული საქმე ჩვენდა სასარკებლოდ ვერ შევასრულოთ. ასეთ მდგომარეობას სძირად გამოცდიან ხოლმე მეომარნი, მტერთან ბრძოლის დროს, მოგზაურნი და ზღვაში მოსიარულენი. და სწორეთ ამ დროს ესაჭიროება კაცს შემწეობა და გამხნეება, რადგან კაცმა თავისი ძნელი საქმე ნახევრობით სისრულეში მოიყვანა და თანაც მეტი შრომისაგან მოქანცულია, სწორედ ამ დროს უნდა გავამხნევოთ მუშაკი და გავამდიროთ მისი ხორციელი,

სულიერი და ზნეობრივი ძალები. თუ ასეთ შემწეობას და დახმარებას არ აღმოუჩინოთ ზატიოსანს, მაგრამ მეტი შრომისაგან დაღლილს მუშაკს, იგი თავს მიანებებს თავის საქმეს და ამით მოაკლდება იმ სარკებლობას და სიკეთეს, რომელსაც ის გამოელოდა ხსენებული საქმისაგან.

სახელოვანი და მამაცნი მხედართ-მთავარნი, როცა მათდამი რწმუნებულნი მეომარნი იქანცებიან ჩხუბის დროს აუტანელი შრომისაგან, თვითონ მხედართ-მთავარნი უჩვენებენ ხოლმე მათ მაგალითს დაუღლელობისას, თავგანწირულ მამაცობისას და მხად ეოფნისას, რომ იგინი ყოველ წამს მხად არიან თავიანთი სიცოცხლე შესწირონ, რათა დაიცვან სახელი და ზატივი თავის მეფისა და სამშობლოსა, და ამ სახით რაღაც გამამხნეებელ ძალას შთანერგვენ ხოლმე დაღლილ მეომრებში, და ეს უკანასკნელნიც გამხნეებულნი ივიწეებენ თავიანთ მოქანცულობას, ხელახლად იკრებენ ძალას, მამაცურად ებრძვიან მტერს და სახელოვანად ასრულებენ თავიანთ მინდობილობას და იხვეჭენ დაუვიწვარ სახელს მამაცობისას.

სწორეთ ასეთივე დახმარება და წაქეზება საჭირო ქრისტიანეთათვის მათ სულიერ-ზნეობრივ მოღვაწეობის საქმეში დიდ მარხვის განმავლობაში.

ქრისტიანები, რასაკვირველია, არა ისეთები, რომლებიც, მართალია, მართლ-მადიდებელი ქრისტიანეს სახელს ატარებენ, მაგრამ წმ. ეკლესიის არც ერთი დადგენილობა მათ სავალდებულოდ არ მიიჩნიათ, არამედ ისეთები, რომელთაც აქვსთ ჭეშმარიტი სარწმუნოება, აქვსთ ღვთის შიში და მთელი დიდი მარხვის განმავლობაში ჯეროვანის მოწიწებით მარხუ-





ლობენ და ასრულებენ ქველის საქმეთა, ერი-  
დებიან ეოველ გვარ სორციელ სიამოვნებათა,  
მოძეტებულ დროს ახმარებენ ლოცვა-ვედრებას,  
თავმდაბლად და მძურად ექცევიან ეველას, უკ-  
ვარდებიან თავიანთ წარსულ ცხოვრებას და  
ცდილობენ შეიტყონ, თუ რა მოიქმედეს მათ  
წინააღმდეგ სახარების მცნებათა და ამავე დროს  
მზად არიან დასთურგონ თავიანთი სულის  
ეოველი ცოდვილი მისწრაფებანი.

მაგრამ, ჩვენი თანმობილი სულიერი და  
სორციელი უძლურებისა გამო, თვით კეთილ  
მორწმუნე ქრისტიანებიც კი ეოველთვის და-  
უბრკოლებლად ვერ ასრულებენ წმ. დიდი მარ-  
ხვის განმავლობაში სინანულის ღვაწლს. ცო-  
დვის ბოროტი ძალა წინააღმდეგობას გვიწევს  
და წინ გვედობებიან სხვა-და-სხვა ცოდვილი  
ვნებანი, როგორც არიან: ურწმუნობა, თავ-  
მოუვარება, თავის თავის დიდად წარმოდგენა,  
მოუთმენლობა და გულ-მოსულობა და სხვ.  
სუსტი კაცი ხშირად ვერ სთურგნის ცუდ ვნე-  
ბათა ხედმოქმედებას, ხშირად ვარდება იმ ცოდ-  
ვებში, რომელთა გამეორებას იგი მორიდებული  
იყო. ამის გამო ხშირად სასოწარკვეთილებაში  
ვარდება, იმედს კარგავს, რომ იგი ვედარ შეძ-  
ლებს თვისი ცუდი ცხოვრების გამოცვლას,  
ღირსეულად ვერ გაატარებს წმ. დიდ მარხვას  
და შესაფერად ვერ შეეკება ბრწუნივალე აღ-  
დგომას. ასეთი სისუსტე ეტეობა კეთილ-მორ-  
წმუნეს განსაკუთრებით დიდი მარხვის შუაში,  
როცა იგი მეტის მეტი მარხულობით და ლოც-  
ვა-ვედრებით სუსტდება და ეჭვი ეპარება, რომ  
ვაი თუ ვერ შევძლო დიდი მარხვის ღირსეუ-  
ლად გატარებაო. წმ. დიდი მარხვის პირველ  
დღეებში ეოველ გვარი მოთმენა და ლოცვა-  
ვედრება ხალისით სრულდება, ესევე ხდება დიდი

მარხვის უგანასგულ კვირიაკეში, ვნების კვირა-  
ში, როცა ვიხსენიებთ უფლისა ჩვენისა იესო-  
ქრისტეს მაცხოვარებით ვნებათა. მაგრამ მარ-  
ხვის შუა დროს ქრისტიანე კაცის აზრი და  
გონება რაღაც ირუევა, იგი ეჭვიანობს, როცა  
წარმოიდგენს, რომ იგი ხშირად არღვევდა წმ.  
ეკლესიის მცნებათა და აქედამ იმედი უსუსტ-  
დება, რომ იგი ვერ მიადწევს მიზანს.

რომ ამ შემთხვევაში გავამხნეოთ ქრისტი-  
ანე, გავამტკიცოთ მისი სნეობრივი ძალები,  
განუმტკიცოთ იმედი, წმ. ეკლესია, ანუ უკეთა  
ვსთქვათ, თვით მისი თავი უფალი ჩვენი იესო  
ქრისტე წმ. დიდი მარხვის შუაში წინადაუდებს  
მორწმუნეთ თავიანთ-საცემად წმიდა ცხოველ  
მოფულ ჯვარს და ამ წმიდა წესის აღსრულე-  
ბით გვამღებს ჩვენ ისეთ მაცხოვარებითი და-  
რიკებას, რომელიც ამხნეებს ჩვენ სულს, გვიმ-  
ტკიცებს ძალებს, რათა ჯეროვანად განვაკრძოთ  
ლოცვა-ვედრება და მოთმინება.

ვინც კი კრძალულებით შესცქერის წმინდა  
ცხოველ მოფულ ჯვარს და შეგნებული აქვს  
მისი დიდი მნიშვნელობა, და ვინც ამ ჯვრის  
წინაშე მუხლს მოიდრეკს, ვინც კრძალულებით  
მოისძმენს საღმრთო საგალობელთ, რომელთაც  
ამ დროს წმ. ეკლესია გალობს, მისი გონება  
და მთელი სული ადვილად ხვდება, თუ რა  
მნიშვნელობა აქვს ცოდვილი კაცისთვის იესო  
ქრისტეს მაცხოვარებით ვნებათა და ჯვარზე  
სიკვდილს. მორწმუნე კაცის სული თითქო  
თვით იესო ქრისტეს პირისაგან ისმენს შემდეგ  
სანუგეშო სიტყვას: ქრისტიანე, შენ სამხელოდ  
მიგანხია დიდი მარხვის განმავლობაში უარჯეო  
ცხოვრების ეოველ გვარი სიამოვნებანი; უცქი-  
რე ჯვარზე ჩემ მიერ დათმენილ ვნებათა შენი  
სულის საცხოვნებლად, შეიგნე მათი მიზეზნი





და მნიშვნელობა და მათგან გამოიტანე სასარ-  
გებლო და რიგებანი.

რომ გასწავლო შენ ხასიათის სიმტკიცე და მოთმინება, რათა მხედ აიტანო მწუხარებანი, რომელთაც გამოიწვევს ხოლმე შენ უსჯულო მასწრაფებათა წინააღმდეგ ბრძოლა, რომ გასწავლო ეოველ შენ ვნებათა და უსჯულო სურვალთა დათრგუნვა, მე თვით ვეცვი ჯვარსე, რომელსაც თან მოჭყევა თვით უსაშინელესი წვალებანი და სიკვდილი, რომელიც საძარცხვინოდ ითვლებოდა დაბრძავებულ ხალხთა შორის. რომ გასწავლო შენ დათმო ნოვიერი საჭმელები და ტებილი სასმელი, მე ჯვარსე შევსვი ძმარი, რომელშიც შერეული იყო ნაღველი. რომ გასწავლო შენ, რათა მოერიდო ძვირფასი ტანთსაცმელებით თავის მორთვას, მე ვეკიდე ჯვარსე ტიტველი და შევსცქეროდი, როცა ურწმუნო მხედრები ჩემ ტანთსაცმელს იყოფდნენ ურთიერ შორის. რომ გასწავლო შენ, რათა მოთმინით აიტანო ლანძვარ-გინება, დაცინვა და შეურაცხება, მე თვით უკანასკნელ ჟამს ჯვარსე გადმოკიდებული ვევიდრებოდი ზეციერ ძამას, რომ მას მიეტყუებინა შეცოდებანი ჩემ მკვლელთათვის.

თუ შენ სასოებას კარგავ იმის გამო, რომ შენი თავი დიდ ცოდვილად მიგახნია, ვინაიდგან შენ ვერ აღასრულე წმ. დიდი მარხვის ეველა წესები, შეხედე სარწმუნოებით და კრძალულებით ჩემს ჯვარს და მოიგონე, თუ მე, როცა ჯვარსე ვეკიდე, როგორ მიუტყვე ჩემთან ჯვარსე ცეულ ავაზაკს მისი ცოდვები და ღირ-

სი გავხადე იგი სასუფეველისა მარტო იმის გამო, რომ წმიდა გულით მოიქცა ჩემდამი და მრქვა: «მომისხენე, მე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევეითა შენითა».

ქრისტეანე! როცა ასეთი აზრით, ასეთი გრძნობებით იქნება გამსჭვალული შენი სული, შეხედე წმიდა ღმცხოველ მეოფელ ჯვარს ღმწიწებით თაუვანი ეც მას, მაშინ განმტკიცდება შენი სარწმუნოება ღვთის განკებულების შესახებ, განმტკიცდება შენი სასოება ღვთის მოწყალებასე, ამაღლდება შენი ზნეობრივი სიწმინდე ღმ აღივსება გამოუთქმელი სიხარულით შენი გული; ამ სახით ჯვარი იქნება შენი გამსწორებელი, ვნებათა მომაკვდინებელი დიდება სულისა ღმ საუკუნო ნათელი.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

**სალითერატურო განყოფილება:** იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 16, 17 და 18 მარტს. — გარეგნობით კეთილ-მსახურების დაცემის მიზნით ჩვენ ხალხში და მისი აღსადგენისაშუალებები. — საზოგადოებრივი ევოლუცია და თანამედროვე სამღვდელთა. — იარაღის აყრა და საერთო მშვიდობიანობა. — წერილი რაჭის მაზრიდან.

**სწავლა და მცინეობა ჭრისტიანობის საფუძნოებასა და კათილზნეობაზე:** თაყვანისცემა პატრიოსნისა და ცხოველსმყოფელისა უფლის ჯვარისა დიდი მარხვის მესამე კვირიაკე.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. ღ. ლაბაშიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 28 марта 1899 г. ♦ Цензоръ прот. Е. Е л и е в с ъ.

Типог. редакция журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.